

ჟურნალი კაპიტალი, № 9, 2007

ვლადიმერ პაპავა: ბიუჯეტის დეფიციტი 774 მილიონი ლარი იქნება

– როგორ შეაფასებთ 2007 წლის გაზრდილ ბიუჯეტს – რა ძირითადი ტენდენციებით ხასიათდება?

– სანამ გაზრდილი ბიუჯეტის შეფასებას დავიწყებთ, უნდა აღვნიშნოთ, რა მდგომარეობაშია დღეს მოქმედი ბიუჯეტი, რომელშიც, პრაქტიკულად, უკვე გათვალისწინებულია საქართველოს განვითარებისთვის პრიორიტეტული ხარჯები. ამასთან ბიუჯეტში ოფიციალურად 374 მლნ ლარის დეფიციტია დაფიქსირებული. მთავრობის მიერ მომზადებულ ბიუჯეტის ცვლილებებთან პროექტში ბიუჯეტის დეფიციტში ცვლილებები არ არის გათვალისწინებული.

2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს ოპოზიციონერები და სპეციალისტები, ძირითადად, ბიუჯეტის გაზრდილი ხარჯვითი ნაწილის გამო აკრიტიკებენ. ჩემთვის კი, როგორც ეკონომისტისათვის, საინტერესოა სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკა და ქვეყანაში არსებული ინფლაციის დონე.

ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რის ხარჯზე იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები და, აქედან გამომდინარე, რა უარყოფით პროცესებს გამოიწვევს ქვეყანაში ამ თანხების დახარჯვა.

ჩვენი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია პრივატიზაციიდან მიღებული თანხები. ეკონომიკური თეორია და საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ პრივატიზაციიდან მიღებული თანხები – ეს ბიუჯეტის არა შემოსავლების, არამედ დეფიციტის შევსების წყაროა.

ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა 2007 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის ანგარიში. ანგარიშის მიხედვით, მთავრობამ წლის პირველ ნახევარში 34 მლნ ლარით უფრო მეტი შემოსავალი მიიღო, ვიდრე დახარჯა, ანუ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ბიუჯეტის შესრულება არის პროფიციტული.

საყურადღებოა, რომ ბიუჯეტში ჩადებული 374 მლნ ლარის დეფიციტი წლის მეორე ნახევარში დაიხარჯება. შესაბამისად, საბიუჯეტო ხარჯებით გამოწვეული ინფლაციური დატვირთვაც ძირითადად წლის მეორე ნახევარზე მოდის.

თუ 2007 წლის ბიუჯეტში დეფიციტის მოცულობა გაწერილია 374 მლნ ლარის ოდენობით და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში დაფიქსირებულია პრივატიზაციიდან მიღებული 200 მლნ ლარი, გამოდის, რომ მოქმედ ბიუჯეტში დეფიციტის რეალური ოდენობა 574 მლნ ლარია.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წლის აგვისტოში ინფლაციის წლიური მაჩვენებელი 7,7 პროცენტს შეადგენს. მიმდინარე წელს ქვეყანაში ბუნებრივი აირის ტარიფი გაიზარდა, გაორმაგდა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა, გაძვირდა ასევე პური და ყველა სხვა სახეობის პროდუქტი. აშკარაა,

რომ ინფლაციის დონის ხელოვნური შემცირებით მთავრობა თავს იტყუებს. ჩნდება კითხვა: სტატისტიკის დეპარტამენტი ინფლაციის მაჩვენებელს ხელოვნურად რატომ ამცირებს?

2006 წლის აგვისტოში, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტმა წლიური ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელი გამოაქვეყნა, საქართველოს მთავრობას საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საკმაოდ მკაცრი შეფასება მისცა. რა გააკეთა ამ დროს მთავრობამ? შეიცვალა სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე და ახალმა ხელმძღვანელმა წლის ბოლოს ინფლაციის წლიური მაჩვენებელი 9 პროცენტამდე დაიყვანა. რეალურად, ინფლაციის მაჩვენებელი კი არ შემცირდა, არამედ სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი შეიცვალა.

დღეს სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო ორგანოა და, ბუნებრივია, მონაცემებსაც მთავრობის დირექტივებთან შეთანხმებით აქვეყნებს.

– 2006 წელს ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაციის გამო საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მთავრობამ მკაცრი კრიტიკა მიიღო. როგორ ფიქრობთ, თუ მართლაც გაიზარდა ინფლაციის მაჩვენებელი, სავალუტო ფონდი ამ ფაქტს რა შეფასებას მისცემს?

მოსალოდნელ ინფლაციურ რისკს აფიქსირებს სავალუტო ფონდის წარმომადგენლობაც თბილისში. ერთ-ერთი ტელეარხით მოვისმინე ფონდის წარმომადგენლის რობერტ კრისტინსენის შეფასება. ის დადებითად აფასებს, რომ წლიური ინფლაციის მიმდინარე მაჩვენებელი 7,7 პროცენტია, თუმცა შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თუ მთავრობამ ბიუჯეტში ეს ცვლილებები შეიტანა, მიმდინარე წლის ბოლომდე ინფლაციის მაჩვენებელი 12 პროცენტამდე გაიზრდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ძირითადად სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ მაჩვენებლებს ეყრდნობა და დასკვნასაც მისი მიხედვით ადგენს. შესაბამისად, თუ სტატისტიკის დეპარტამენტი მიმდინარე წლის გათვლებში მცდარ ინფორმაციას ჩადებს, შესაბამისად სავალუტო ფონდის დასკვნაც მცდარი იქნება.

– პირველი ექვსი თვის ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა. რამდენად მართებულია ბიუჯეტის გაზრდა და მოსალოდნელია თუ არა ინფლაციის დონის რეალური ზრდა?

– მთავრობის მიერ შემუშავებული პროექტის თანახმად, ბიუჯეტი 430 მლნ ლარით იზრდება. აქედან 200 მლნ ლარი კვლავ პრივატიზაციიდან მიღებული თანხებია. ახალ ბიუჯეტში მთავრობა დეფიციტს ფორმალურად არ ზრდის, რადგან აქამდე დეფიციტი ოფიციალურად დადგენილი იყო 374 მლნ ლარი, რეალურად 574 მლნ ლარია, ხოლო ახალი ცვლილებით 774 მლნ ლარი იქნება.

ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აღნიშნული ცვლილება ინფლაციის ზრდას არ გამოიწვევს, რადგან ძირითადი თანხები საზღვარგარეთ სხვადასხვა სახეობის შესყიდვებზე დაიხარჯება. თუმცა, მთავრობა გარანტიას ვერ იძლევა, რომ გაზრდილი შემოსავლებიდან რაღაც თანხა საქართველოში საერთოდ არ დაიხარჯება.

როდესაც ქვეყანაში ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის დაფიქსირებაა მოსალოდნელი, იქმნება სტაბილიზაციის ფონდი. კარგი იქნება, თუ შემოსავლებში დამატებით მობილიზებული 430 მლნ ლარიდან პრივატიზაციიდან მიღებული 200 მლნ ლარი აღნიშნულ ფონდში შეინახება. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ ინფლაციური დაძაბულობა არ შეიქმნას. ამასთანავე, ეს იქნება გარანტი, რომ რეალურად შედარებით დაბალი ინფლაცია შევინარჩუნოთ და უზრუნველყოთ მაკროეკონომიკური სტაბილურობა. თუმცა, საქართველოს მთავრობამ ჩემი შენიშვნა, შექმნილიყო სტაბილიზაციის ფონდი, არ გაითვალისწინა.

– როდესაც მთავრობამ ბიუჯეტში პირველი ცვლილება შეიტანა, მაშინ ეროვნულ ბანკში განაცხადეს, რომ ბიუჯეტში შემდეგი ცვლილება ინფლაციის გაზრდას გამოიწვევდა. ამ შემთხვევაში, ეროვნული ბანკის დასკვნა კრიტიკული არ აღმოჩნდა?

– საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბიუჯეტის დასკვნა მართლაც საკმაოდ შერბილებული სახით წარმოადგინა. გაზრდილი ბიუჯეტის შეფასებისას ეროვნული ბანკი აქცენტს მხოლოდ მის სავალუტო პოლიტიკაზე აკეთებს. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის შესაბამისად, იგი არის ორგანო, რომელიც ინფლაციაზე პასუხისმგებელია. ცხადია, რომ მთავრობა სავალუტო პოლიტიკას ეროვნულ ბანკთან არ შეათანხმებს. ამიტომ ინფლაციის არსებით მოთოკვას მთავრობის მცდარი ხარჯვითი პოლიტიკის პირობებში ეროვნული ბანკი უბრალოდ ვერ შეძლებს – მას ამისთვის საკმარისი რესურსი უბრალოდ არ გააჩნია.

– უკვე მეორე წელია, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას საქართველოს მთავრობის პრიორიტეტად თავდაცვის სამინისტრო რჩება. ძირითადი კრიტიკა ბიუჯეტის სწორედ ამ ნაწილის მიმართ გაისმის...

– თუ ეს ბიუჯეტი არ უპასუხებს ჩვენი მოქალაქეების მოთხოვნას, ეს არჩევნებზე გამოჩნდება. საზოგადოება აირჩევს იმ პოლიტიკურ ძალას, რომლის საბიუჯეტო პრიორიტეტებიც მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

მე არ ვარ თავდაცვის სფეროს ექსპერტი და ამიტომ გამიჭირდება ამის შეფასება. როგორც რიგით მოქალაქეს, მიმაჩნია, რომ ქვეყანას თავდაცვისუნარიანობის გაზრდა სჭირდება. გარდა ამისა, პარლამენტმა სამხედრო მოსამსახურეთა შემადგენლობის გაზრდის საკითხი უკვე გადაწყვიტა. თუმცა ის, რომ თავდაცვის სამინისტროს ხარჯები გამჭვირვალე არ არის, რაც როგორც ოპოზიცია აღნიშნავს, შეიძლება კორუფციულ საფრთხეებზეც მიანიშნებდეს.

ესაუბრა ლიკა ბახტაძე